დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
12. 10. 22
დასკვნის წარდგენის თარიღი
16.11. 22

თბილისი

შინაარსი

I. 4II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვთისო მამისიმედიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ბაზაძე, ევროპული სკოლა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ქვათაძე, ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა მესხი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ქართული ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Georgian Philology (MA)
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართულ ფილოლოგიაში Master of Arts in Georgian Philology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა Literature and Linguistics 0232.1.1 ქართული ფილოლოგია Georgian philology
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 31-08- 2017 აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #14; გადაწყვეტ. 62

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პრორგამამ აკრედიტაცია გაიარა 2017 წლის 31 აგვისტოს, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #14, გადაწყვეტილება #62. 2019 წელს პროგრამამ გაიარა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაგისტრის მომზადებას. პროგრამაში შეისწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი საკითხები. პროგრამა ოთხი კომპონენტისაგან შედგება: ქართული ენის, ლინგვისტიკის, ქართული ლიტერატურისა და ინტერდისციპლინური ნაწილები.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება შპს საქართველოს უნივერსიტეტის მისას, მიზნებსა და სტრატეგიებს, ასევე, ძირითადად, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 3 22 0001222872 (04/10/2022) თანახმად, 2021 წლის 12 ოქტომბერს შპს საქართველოს უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, სოფიო ბაზაძე, ანი ქვათაძე, შალვა მესხი. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები შპს საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.

დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;

  მეორე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან;

  მესამე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან;

  მეოთხე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან;

  მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ასახავდეს ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელს.

  - რეკომენდებულია, განახლდეს ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ, კვლევის ანგარიში ახალი მონაცემებით.

  - რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასება დაემყაროს რელევანტურ კვლევებს.

  - სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებული იქნეს „ქართული ეკლესიის ისტორიის“ სასწავლო კურსი, რადგან იგი არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლების საფეხურს.

  - ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლების“ კურსთან ერთად შეთავაზებული უნდა იყოს ქართული ენისა და სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხები, როგორც ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სამაგისტრო საფეხურისთვის არის განსაზღვრული.

  - ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, მოხდეს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხების ასახვა სავალდებულო სასწავლო კურსებში.

  - გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის კომუნიკაცია პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

  - სილაბუსებში გაიმიჯნოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა.

- სავალდებულო ლიტერატურაში აისახოს დარგის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები.
- სრული სახით მიეთითოს წიგნის, სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, სტატიის სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის წელი და ადგილი, ავტორი
- სასწავლო კურსებში დაზუსტდეს რიდერების მითითების საკითხი.
- მოხდეს პროგრამაში ცალკეული საგნების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების შესწორება.
- მოხდეს სილაბუსების ნაწილში უახლესი ლიტერატურის შეტანა.
- რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები მეტად დეტალურად გაწერილი იქნას, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მატერიალურტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა.
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის გაძლიერება და მისი მეტი ჩართულობა პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.
- რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამების განვითარების პროცესში.
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად გაზომოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და შეაფასოს ისინი, რათა განხორციელდეს ანალიზის შემდგომის შედეგების გამოყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საჭიროებისამებრ და პერიოდულად გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმები.
- რეკომენდებულია უსდ-მ გაითვალისწინოს აკრედიტაციის პროცესში მიღებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ან წარმოადგინოს ხედვა მათი თუ რატომ არ გაითვალისწინა ისინი.
- რეკომენდებულია სისტემატურად განხორციელდეს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და მათი გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- რეკომენდებულია გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის დონე პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ; ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურმა შეიტანოს საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული წვლილი პროგრამების შედეგების კვლევასა და ანალიზში შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაანალიზოს ანალოგი პროგრამების შედარების შედეგები და აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენოს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების სახელწოდებების დამთხვევათა და შესაბამისად თემატიკის გადაფარვის თავიდან ასაცილებლად სამაგისტრო კურსს ეწოდოს „ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება და მითოსი“ ნაცვლად „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერებისა“.
  - სილაბუსებში წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებს მიეთითოს ელექტრონული ბმულების მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
  - მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს პროგრამის წინაპირობები ქართული ფილოლოგიის დარგის შესაბამისად.
  - განახლდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები.
  - სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება, რათა პერსონალი საქმის კურსში იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შესახებ. ასევე, უფრო მეტად აცნობიერებდეს თანამშრომლობის შედეგების გავლენას პროგრამების განვითარების ნაწილში.
  - სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად მოამზადოს ერთიანი ანგარიში პროგრამის შეფასების შედეგების შესახებ, რომელიც ასახავს როგორც შეფასებების შეჯამებას, ასევე დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასების შედეგებზე რეაგირებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

შპს საქართველოს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში ასახულია ექსპერტთა რეკომენდაციებისა და რჩევების შესახებ მოსაზრებები. კერძოდ,

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ასახავდეს ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელს.

დაწესებულების აზრით, მნიშვნელოვანია დასკვნაში კონკრეტულად იყოს მითითებული, თუ სწავლის შედეგებში რა ცვლილებების შეტანაა რეკომენდებული.

ექსპერტების მოსაზრებით, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პრორგამა, მისი სწავლის შედეგები, ძირითადად ასახავს ქართული ფილოლოგიის უმათლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც განსაზღვრავს ქართული ფილოლოგიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მინიმალურ სტანდარტს. თუმცა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში შეინიშნება ხარვეზები დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელში წარმოდგენილი შემდეგი კომპეტენციები არ არის ასახული სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებში და, შესაბამისად, პროგრამაში, სრულფასოვნად სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული, პროგრამის მიზნებიდან და პროფილიდან გამომდინარე, ფლობს შემდეგ კომპეტენციებს: ავლენს ქართველური ენათმეცნიერების ღრმა, სისტემურ ცოდნას, რაც მოიცავს ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხებს; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემებს; ამჟღავნებს ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების ღრმა სისტემურ ცოდნას. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, დარგობრივ მახასიათებელში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები სრულფასოვნად იყოს ასახული პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განახლდეს ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ, კვლევის ანგარიში ახალი მონაცემებით.

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასება დაემყაროს რელევანტურ კვლევებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტი განმარტავს: „აქ მცირე გაუგებრობას აქვს ადგილი: პროგრამას ჯერ არ უწევდა რეაკრედიტაცია და, შესაბამისად, პოტენციური დამსაქმებლების მიერ კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების კვლევის თავიდან ჩატარების

აუცილებლობა არ არსებობდა. უწყების მიერ წარდგენილი კვლევის ანგარიში ახალი გახლდათ; ამასთან მოწვეულმა დამსაქმებლებმა თუ პოტენციურმა დამსაქმებლებმა პირადად დაადასტურეს თავიანთი დამოკიდებულება კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების შესახებ“.

ექსპერტების აზრით, სააკრედიტაციოდ წარმოდგეილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში, თუმცა პოტენციური დამსაქმებლების მონაცემები რამდენიმე წელია განსხვავდება კვლევაში ასახულ მონაცემებთან შედარებით. ჩანს, რომ ანგარიში მომზადებულია 2018 წლისთვის და არ ასახავს დამსაქმებლების თანამედროვე სამუშაო თანამდებობებსა და საქმიანობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მსგავსი კვლევების განახლება, როდესაც პროგრამა შესაფასებლად მიეწოდება აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს.

- სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებული იქნეს „ქართული ეკლესიის ისტორიის“ სასწავლო კურსი, რადგან იგი არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლების საფეხურს.

  აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმება. უნივერსიტეტის აზრით, „საგანი არჩევითია და, შესაბამისად, ის გადამწყვეტ გავლენას ვერ მოახდენს კურსდამთავრებულის კომპეტენციების ფორმირებაზე; მეორეც, მოგეხსენებათ, ქართული ეკლესიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული მწიგნობრობის ისტორიასთან, რომ არაფერი ვთქვათ იმ გარემოებაზე, რომ სწორედ ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ კულტურისა და განათლების კერებს ჩვენში. სავალდებულო საგნების ნუსხაში გვაქვს კურსი „ქართული ლიტერატურის განვითარების ტენდენციები (V-XVIII), რომლის მოსმენის პარალელურად თუკი სტუდენტი არჩევითი საგნებიდან უპირატესობას მიანიჭებს „ქართული ეკლესიის ისტორიას“, შესაძლებლობა ექნება შესაბამისი პერიოდის ქართული ლიტერატურა ერთიან კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში გაიაზროს“.

  ექსპერტების აზრით, არჩევითი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები არ არის გათვალისწინებული სამაგისტრო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მიერ. საგნის მიზანი, შედეგები და შინაარსი სცილდება ფილოლოგიურ დარგს. რასაკვირველია, საგანი მომიჯნავე დარგისაა და გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს მე-5-მე-10 საუკუნეების ქართული ლიტერატურის განვითარების ტენდენციებთან, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში არ არის ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული საგნების სწავლება, მათ შორის, არჩევით ფორმატში, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში აღნიშნული საგანი ამოღებულ იქნას და მის ნაცვლად დარგობრივ მახასიათებელში წარმოდგენილი საგნები იყოს ასახული.

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლების“ კურსთან ერთად შეთავაზებული უნდა იყოს ქართული

ენისა და სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხები, როგორც ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სამაგისტრო საფეხურისთვის არის განსაზღვრული.

აღნიშულ რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმება. დაწესებულების აზრით, „გაგვიჭირდება დავეთანხმოთ პროგრამაში „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლების“ გვერდით ქართულ-სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხების შეტანას; ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის 5 3.2.1. პუნქტი: პროგრამის დასრულების ***შემდეგ კურსდამთავრებული, პროგრამის მიზნებიდან და პროფილიდან გამომდინარე, ფლობს შემდეგ კომპეტენციებს: ცოდნა გაცნობიერება • ავლენს ქართველური ენათმეცნიერების ღრმა, სისტემურ ცოდნას, რაც მოიცავს ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხებს;*** ეს რეკომენდაცია რელევანტური იქნებოდა ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროგრამა ამ პროფილს რომ შეესაბამებოდეს, როგორც მაგალითად ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამები (თსუ, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) *ან აწყობილი იყოს მოდულების სისტემით სადაც ქართველური ენები მოდულის სახით იქნებოდა წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენი პროგრამა განსხვავებულია* **და მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური მაგისტრის მომზადებას *ქართულ ენასა და ლიტერატურაში.*** ამ პროგრამაში საგანი „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლები“ მხოლოდ არჩევით ფორმატშია შეთავაზებული და, სამწუხაროდ, დღემდე პროგრამის არცერთ სტუდენტს არ აურჩევია; ამიტომ მიმდინარე სემესტრის დასაწყისში პროგრამის განვითარების საბჭოზე განვიხილეთ ეს საკითხი და გადავწყვიტეთ, რომ თუ ახლანდელი პირველკურსელები მომდევნო სემესტრში არ დაინტერესდებიან ამ საგნით, მაშინ, ალბათ, მიზანშეწონილი ამ სასწავლო კურსის ამოღება არჩევითი საგნების ნუსხიდან“.

ექსპერტთა შეხედულებით, ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კომპეტენციები და სწავლის შედეგები სავალდებულო მინიმალური მოთხოვნებია, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლების დეტალური სფერო და კვალიფიკაციის მისანიჭებელი კოდი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია შემდეგნაირად: 0232 იტერატურა და

ლინგვისტიკა (Literature and Linguistics) 0232.1.1 ქართული ფილოლოგია (Georgian philology). როგორც დარგობრივ მახასიათეველში აღნიშნულია: **„ქართული ფილოლოგიის (ქართული ენა და ლიტერატურა – შემდგომში ქართული ფილოლოგია) დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას“.** ასევე, დარგობრივი მახასიათებელი განმარტავს: „წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში **ქართული ფილოლოგიის (0232.1.1 ქართული ფილოლოგია** Georgian philology; 0232.2.2 ქართველური ენათმეცნიერება, Georgian (Kartvelian) Linguistics; 0232.2.4 ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატურის ისტორია Georgian Literature/History of Georgian Literature) კომპეტენციები პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, **კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, აუცილებელი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მათ მისაღწევად საჭირო სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები/მეთოდები“**. ამასთან, პროგრამაში არის ქართული ენის კლასტერი, რომელიც სხვა საგნებთან ერთად მოიცავს არჩევით საგანს, მეგრულ-ლაზურ გრამატიკას. მნიშვნელოვანია მეგრულ-ლაზურთან, როგორც ქართველურ ენასთან ერთად, შეთავაზებული იყოს სვანურიც. ასევე, დასაშვებია, მეგრულ-ლაზურისა და სვანურის გრამატიკის საფუძვლები ერთ არჩევით საგანში იყოს შეთავაზებული. თუ უნივერსიტეტი არ გეგმავს, ქართველური ენათმეცნიერების სისტემური ცოდნა შესძინოს სტუდენტს, მაშინ სტრუქტურაში არ უნდა შედიოდეს მეგრულ-ლაზური გრამატიკის კურსი.

- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, მოხდეს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხების ასახვა სავალდებულო სასწავლო კურსებში.

  რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ და იგეგმება აღნიშნული სასწავლკო კურსის მომზადება.

- გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის კომუნიკაცია პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

- სილაბუსებში გაიმიჯნოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა.

  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

- სავალდებულო ლიტერატურაში აისახოს დარგის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები.

  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

- სრული სახით მიეთითოს წიგნის, სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, სტატიის სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის წელი და ადგილი, ავტორი.

  გაზიარებუოლია უნივერსიტეტის მიერ

- სასწავლო კურსებში დაზუსტდეს რიდერების მითითების საკითხი.

  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

- მოხდეს პროგრამაში ცალკეული საგნების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების შესწორება.

  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

- მოხდეს სილაბუსების ნაწილში უახლესი ლიტერატურის შეტანა.

  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

- რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები მეტად დეტალურად გაწერილი იქნას, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მატერიალურტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა.

  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის გაძლიერება და მისი მეტი ჩართულობა პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

- რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამების განვითარების პროცესში.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად გაზომოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და შეაფასოს ისინი, რათა განხორციელდეს ანალიზის შემდგომის შედეგების გამოყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საჭიროებისამებრ და პერიოდულად გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმები.

- რეკომენდებულია უსდ-მ გაითვალისწინოს აკრედიტაციის პროცესში მიღებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ან წარმოადგინოს ხედვა მათი თუ რატომ არ გაითვალისწინა ისინი.

- რეკომენდებულია სისტემატურად განხორციელდეს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და მათი გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- რეკომენდებულია გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის დონე პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიტანოს საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული წვლილი პროგრამების შედეგების კვლევასა და ანალიზში შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაანალიზოს ანალოგი პროგრამების შედარების შედეგები და აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენოს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

უნივერსიტეტმა თავის არგუმენტირებულ პოზიციაში მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომედაციებს ერთი ფორმით უპასუხა. ინსტიტუცია უთითებს, რომ „ტექსტის გაცნობის შედეგად, გასაგები გახდა თუ რას ეყრდნობიან ექსპერტები როცა მსგავს მსჯელობას ანვითარებენ, კერძოდ: მართვის დებულებასა და ინტერვიუს. ალბათ გაუგებრობას აქვს ადგილი, რადგან ექსპერტებისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“. ექსპერტების აზრით, რეკომენდაციები რელევანტურია, ასევე, აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას საგანმანათლებლო პროგრამის დებულება გამოყენებულ იქნა დასკვნის პროექტის შემუშავების დროს და ექსპერტების მიერ მტკიცებულებებშიც არის მითითებული.

რჩევები:

- საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების სახელწოდებების დამთხვევათა და შესაბამისად თემატიკის გადაფარვის თავიდან ასაცილებლად სამაგისტრო კურსს ეწოდოს „ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება და მითოსი“ ნაცვლად „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერებისა“.

  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

- სილაბუსებში წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებს მიეთითოს ელექტრონული ბმულების მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

- მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს პროგრამის წინაპირობები ქართული ფილოლოგიის დარგის შესაბამისად.
  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

- განახლდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები.
  გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება, რათა პერსონალი საქმის კურსში იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შესახებ. ასევე, უფრო მეტად აცნობიერებდეს თანამშრომლობის შედეგების გავლენას პროგრამების განვითარების ნაწილში.
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად მოამზადოს ერთიანი ანგარიში პროგრამის შეფასების შედეგების შესახებ, რომელიც ასახავს როგორც შეფასებების შეჯამებას, ასევე დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასების შედეგებზე რეაგირებას.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2017 წლის 31 აგვისტოს, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #14, გადაწყვეტილება #62. 2019 წელს პროგრამამ გაიარა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესახებ დანიშნულ მონიტორინგზე ექსპერტების მიერ შემუშავდა რეკომენდაციები და რჩევები. დაწესებულება ძირითად შემთხვევაში, დაეთანხმა გამოთქმულ რეკომენდაციებს.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას აქვს ნათლად ჩამომყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები. პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მაგისტრის მომზადება ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ ამ მიზნის მისაღწევად ღრმად და სისტემურად შეისწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები, რის საფუძველზეც ხდება საბაკალავრო დონეზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიღებული ცოდნის შემდგომი გაღრმავება და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს სამაგისტრო საფეხურის ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრმის თავისებურებებს, მოიცავს ენისა და ლიტერატურის კომპონენტებს, ასევე, ლინგვისტიკისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს, ინტერდისციპლინურ საგნებს, ენობრივი პოლიტიკის საკითხებს, ტექსტის შედარებითი ანალიზის პრინციპებს და სხვ. ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოწოდებულია მოამზადოს ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტი. პროგრამას შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს ქართული ფილოლოგიის განვითარებაში.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია შპს საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პრორგამის მიზნები უმთავრესად მიღწევადია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. სამაგისტრო პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია: "დამსაქმებელთა ინტერვიუირება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ადგილობრივი ბაზრის ტენდენციები - გამოვკვეთოთ, რა კონრეტული ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალიტებზეა მოთხოვნა". უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თუმცა დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში ზოგი მონაცემი მოძველებულია. აღნიშნული საკითხის შესახებ ექსპერტებმა აღნიშნეს დაწესებულებაში ვიზიტის დროსაც. დეტალურად აღნიშნული საკითხისა და შესაბამისი რეკომენდაციის შესახებ იხ. 1. 2.

უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულია, რომ "უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტების თანმდევია ინტერნაციონალიზაცია; ამ მიზნის მისაღწევად პროგრამის გაძლიერება ხდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები". ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია უზრუნველყოფილია ინგლისური ენის სავალდებულო გაძლიერებული სწავლებით B/2+ დონეზე, რაც პროგრამის კურსადმათავრებულს ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ჩართვის მეტ შესაძლებლობას აძლევს. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ინტერნაციონალიზაცია დაწესებულების მიერ მითითებულია გასაუმჯობესებელ მხარეებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან და ძირითადად ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სწავლების მეთოდები და სასწავლო კურსების მოცულობა დაგეგმილია მისაღწევი შედეგების მიხედვით. თითოეული სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებლია სავალდებულო კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც ეთმობა 30 კრედიტი.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც შემუშავდა 2021 წელს და რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ქართული ფილოლოგიის მაგისტრატურის საფეხურის სწავლის შედეგები. კერძოდ, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს ქართველური ენათმეცნიერების ღრმა, სისტემურ ცოდნა, რაც მოიცავს ქართულის და/ან

მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხებს; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემებს; სიღრმისეულად განიხილავს ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა ასპექტს, ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებასა და მის როლს საზოგადოებაში; ამჟღავნებს ქართული ლიტერატურის პერიოდების, ლიტერატურული და ზეპირსიტყვიერი ტექსტების, ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების ღრმა სისტემურ ცოდნას; მრავალმხრივ აანალიზებს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში და სხვ. აღსანიშნავია, რომ დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები ძირითადად ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში, თუმცა გვხვდება გარკვეული საკითხები, რომელთა დაზუსტება მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში.

დაწესებულების მიერ დეკლარირებულია ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, ხაზგასმულია, რომ ქართული ფილოლოგია პრიორიტეტული დარგია ჩვენი ქვეყნისათვის და პროგრამის სწავლის შედეგები გამომდინარეობს სწავლის მიზნიდან. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგია ისეთი სპეციალისტის გაზრდა, რომელსაც თანაბრად ღრმა ცოდნა აქვს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. აღნიშნული მიდგომა დაწესებულების აზრით, ემყარება აგრეთვე ბაზრის კვლევას და კონკურენტული გარემოს ანალიზს, რადგან პროგრამის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იყო ყველა დაინტერესებული მხარის, სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და დაწესებულების აზრი პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ, კვლევის ანგარიში, რომელიც მომზადებულია 2022 წელს, თუმცა მასში მონაცემების ნაწილი არის მოძველებული და საჭიროებს განახლებას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კვლევა ჩატარდა არა 2022 წელს, არამედ 2019 წლამდე.

პროგრამა შედგება ძირითადი და არჩევითი საგნებიდან და ძირითად საგნებში შედის როგორც ქართული ენის, ისე ქართული ლიტერატურის მიმართულებებიდან საგნები, რაც უზრუნველყოფს ქართული ფილოლოგიის ორივე დარგის თანაბრად შესწავლის შესაძლებლობას. ასევე, არჩევით საგნებშიც შესულია ენისა და ლიტერატურის მიმართულებით საგნები, თუმცა გვაქვს გარკვეული შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებსაც განვიხილავთ შესაბამის თავში. დეტალურად იხ. 1.4; 1.5.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ასახავდეს ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელს.
- რეკომენდებულია, განახლდეს ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ, კვლევის ანგარიში ახალი მონაცემებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	X	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შედეგების შეფასება ხდებასა სწავლო კურსების კონკრეტული შედეგების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და უზრუნველყოფს მოთხოვნადი კომპეტენციების შეძენას ფილოლოგიის დარგის სპეციალისტი მაგისტრანტებისათვის. გარდა ფილოლოგიური დარგის პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციებისა, პროგრამაში გათვალისწინებულია სხვა კომპეტენციები და უნარები, როგორიც არის: კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინგლისურ ენაზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი და სხვ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება სისტემურად, ორ წელიწადში ერთხელ. პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის მიხედვით, რომელიც შემუშავებული აქვს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას. პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი ორი ეტაპის შესრულებას გულისხმობს: 1. სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას და მათ შეგროვებას და 2. მონაცემების ანალიზს.

უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ მასალაში წარმოდგენილია სტუდენტთა კითხვარი, კურსდამთავრებულების კვლევა, სტუდენტთა კვლევა, ასევე, სასწავლო კურსის ლექტორების შეფასება, სასწავლო კურსით კმაყოფილების კითხვარი, შეფასების მექანიზმები და სხვ. სწავლის შედეგების გაზომვის ინსტრუმენტებად გამოიყენება გამოკითხვის შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების შედარება სწავლის შედეგების რუკასთან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის დახვეწას და/ან რესურსების განახლებასა და განვითარებას. დაწესებულების განმარტებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, დგება დამსაქმებლებისათვის განკუთვნილი კითხვარების შედეგების ანალიზი და დგინდება, რამდენად ინარჩუნებს აქტუალურობას სწავლის არსებული შედეგები და ხომ არ შეინიშნება ცვლილებები ამ მხრივ, რომლებიც შესაბამის რეაგირებას საჭიროებენ შეცვლილი შედეგების მისაღწევად ცალკეული სასწავლო

კურსების მოდიფიცირების ან ახალი სასწავლო კურსის შეთავაზების თვალსაზრისით. რაც შეეხება მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმებული კურსდამტავრებულების გამოკითხვის მონაცემებს, მათი ანალიზის შედეგად დგინდება, რამდენად შესაბამისია მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული/ტრანსფერული უნარები დასაქმების ბაზრის რეალურ მოთხოვნებთან. მიღებული შედეგების ანალიზი წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის დახვეწა/სრულყოფის და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციის საფუძველს.

შპს საქართველოს უნივერსიტეტს, როგორც უკვე აღინიშნა (1. 2.) წარმოდგენილი აქვს ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება პოტენციური დამსაქმებლის მიერ, თუმცა ეს დოკუმენტი შეიცავს მოძველებულ ინფორმაციას და ამიტომაც, არ არის რელევანტური 2022 წლისთვის. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო პროცესის კმაყოფილების კითხვარი და სხვ. მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები დაემყაროს რელევანტურ წყაროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სამაგისტრო პრორგამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურიკულუმის რუკა;
- სტუდენტთა კვლევების ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასება დაემყაროს რელევანტურ კვლევებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად; პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალობას, რადგან იგი ამზადებს ფართო სპექტრის სპეციალისტებს, რომლებიც კომპეტენტურნი იქნებიან როგორც ენის, ისე - ლიტერატურის საკითხებში. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს და ასევე, პროგრამის

მიზნებს და სწავლების საფეხურს. თუმცა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლით განსაზღვრული სავალდებულო კომპეტენციების ნაწილი არ არის ასახული პროგრამაში. ასევე, ზოგიერთი სასწავლო კურსი ან არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, ან ვერ დაეხმარება ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ამ თვალსაზრისით, სამაგისტრო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს „ქართული ეკლესიის ისტორიის“ სასწავლო კურსი, რომელიც შეიძლება არჩევით საგნად ისწავლებოდეს საბაკალავრო საფეხურზე. ასევე ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლების“ კურსთან ერთად შეთავაზებული უნდა იყოს ქართული ენისა და სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხები, როგორც ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სამაგისტრო საფეხურისთვის არის განსაზღვრული.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე არჩევით საგნად ისწავლება „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“, ხოლო ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო კურსი „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი“. რომ არ მოხდეს ამ ორი კურსის სახელწოდებების დამთხვევა და შესაბამისად თემატიკის გადაფარვა, სასურველია სამაგისტრო კურსს ეწოდოს „საისტორიო ზეპირსიტყვიერება და მითოსი“.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა კიდევ რამდენიმე ხარვეზი, მათ შორის ისიც, რომ მოწვეული პერსონალის ერთმა ნაწილმა არ იცოდა, თუ რომელ არჩევით საგანს უძღვებოდა ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე და არც საგნის სილაბუსს არ იცნობდა, რომელიც ხელახალ გადამუშავებასა და განახლებას საჭიროებს. ამდენად უაღრესად მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან კომუნიკაციის გაძლიერება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებული იქნეს „ქართული ეკლესიის ისტორიის“ სასწავლო კურსი, რადგან იგი არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლების საფეხურს.

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლების“ კურსთან ერთად შეთავაზებული უნდა იყოს ქართული ენისა და სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხები, როგორც ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სამაგისტრო საფეხურისთვის არის განსაზღვრული.

- მოხდეს ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად მოხდეს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხების ასახვა სავალდებულო სასწავლო კურსებში.

- გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის კომუნიკაცია პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების სახელწოდებების დამთხვევათა და შესაბამისად თემატიკის გადაფარვის თავიდან ასაცილებლად სამაგისტრო კურსს ეწოდოს „ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება და მითოსი“ ნაცვლად „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერებისა“.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები ძირითადად შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა - 6 ECTS (150 საათი), საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი დრო და მათი ერთმანეთთან თანაფარდობა - შეესაბამება კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და კურსის სწავლის შედეგებს.

თითოეული სასწავლო კომპონენტის კრედიტების მოცულობა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის საქმიანობა, რომელიც მოიცავს ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობას, გამოცდების მომზადება–ჩაბარებას, რეფერატის მომზადება/პრეზენტაციას ფასდება კრედიტით, რომელიც (1 ECTS) საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს. თუმცა სასწავლო კურსების შინაარსთან და მითითებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით გვაქვს შენიშვნები:

საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების ნაწილში არ არის დიფერენცირებული სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა. გარდა ამისა, სილაბუსების ერთ ნაწილში

მითითებულია სასწავლო მასალა, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ სამეცნიერო დარგში გამოქვეყნებული შრომების ცალკეული გვერდებისა და ფრაგმენტების კრებულს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მასალას მითითებული არა აქვს ISBN, არ ჰყავს რეცენზენტი და რედაქტორი, რადგან არ არის გამოცემული, სასწავლო მასალის ავტორად მითითებული არის მისი შემდგენელი (უმეტესად სასწავლო კურსის კურატორი) და სილაბუსშიც ამ სახით არის წარმოდგენილი. ამ გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული დაბნეულობა და სტუდენტმა აღნიშნული მასალის ავტორად მასში მოთავსებული ნაშრომების შემკრები მიიჩნიოს. მაგალითად, „ქართული ეკლესიის ისტორიის“ სასწავლო კურსის სილაბუსში საერთოდ არ არის მითითებული რაიმე სახის სახელმძღვანელო, მონოგრაფია ან სტატია და იგი მთლიანად საგნის კურატორის მიერ შედგენილ სასწავლო მასალას ემყარება. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში თითოეულ თემას აუცილებლად ახლდეს ბიბლიოგრაფია. მიეთითოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული გვერდები. სასწავლო კურსებში დაზუსტდეს რიდერების მითითების საკითხი, რადგან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი საგანს უნდა სწავლობდეს ავტორიტეტული სახელმძღვანელოდან ან სამეცნიერო წიგნიდან, რომელსაც ეყოლება ავტორი, მითითებული ექნება გამომცემლობის გრიფი, რედაქტორისა და რეცენზენტის ვინაობა.

ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა შეცდომით ან არასრულად არის მითითებული. მაგალითად, სილაბუსში „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“ სრულად არ არის ასახული ზურაბ კიკნაძის წიგნის სახელწოდება „ჯვარი და საყმო“. გარდა ამისა, მას არ ახლავს ინფორმაცია, თუ სად და როდის დაიბეჭდა მითითებული მონოგრაფია, რომლის სრული სახელწოდებაც არის ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016. სავალდებულო ლიტერატურის მითითებასთან დაკავშირებული ეს ხარვეზი არ აღმოჩნდა ერთადერთი და ამ სახის უზუსტობები სხვა სილაბუსებშიც გამეორდა. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის (კომპარატივისტიკა) სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია მილან კუნდერას სტატია „Die Weltliteratur, ევროპელი რომანტისტები და მოდერნიზმი“, რომელსაც არ ახლავს ინფორმაცია, თუ როდის და სად დაიბეჭდა. ამავე სილაბუსში არასწორად არის მითითებული ე. გოგიაშვილის სტატიის სახელწოდება: „მოხეტიალე სიუჟეტთა“ თეორია ფოლკლორისტიკაში“. უნდა იყოს: „მოხეტიალე სიუჟეტები და მე-19 საუკუნის ფოლკლორისტული თეორიები“. სტატიის სახელწოდებას ასევე არ ახლავს ინფორმაცია, თუ სად და როდის არის დაბეჭდილი. გარდა

ამისა, სტუდენტმა უნდა იცოდეს, რა სახის პუბლიკაციასთან აქვს საქმე: ის არის სტატია, მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო.

სილაბუსების ერთ ნაწილში დადასტურებულია მხოლოდ გასული საუკუნის შუა წლებსა და მეორე ნახევარში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა და ასახული არ არის დარგის თანამედროვე მიღწევები, ბოლო პერიოდში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები.

ამრიგად, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ნაწილობრივ შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა იგი ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საჭიროა სილაბუსების თემატიკის გადამუშავება და ახალი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით შევსება, რომელშიც ასახული იქნება დარგის თანამედროვე მიღწევები.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით საგნებს. უნივერსიტეტში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ერთი სასწავლო კურსი გამორჩენილი იყო სასწავლო პროგრამაში, არ იყო წარმოდგენილი ამ სასწავლო კურსის სილაბუსი და არც ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პროგრამაში იყო შესული. დაწესებულებამ მალევე გაასწორა ეს ხარვეზი ვებგვერდზე, თუმცა აკრედიტაციის ცენტრში გამოგზავნილ ვერსიაში ეს ცვლილება არ შესულა. ასევე, გამოიკვეთა, რომ რამდენიმე საგნის განახლების სურვილი ჰქონდათ საგნის ხელმძღვანელებს. მათ შორის, სურდათ უახლესი ლიტერატურის დამატებისა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- სილაბუსებში გაიმიჯნოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა.
- სავალდებულო ლიტერატურაში აისახოს დარგის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები.

- სრული სახით მიეთითოს წიგნის, სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, სტატიის სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის წელი და ადგილი, ავტორი
- სასწავლო კურსებში დაზუსტდეს რიდერების მითითების საკითხი.

- მოხდეს პროგრამაში ცალკეული საგნების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების შესწორება.

- მოხდეს სილაბუსების ნაწილში უახლესი ლიტერატურის შეტანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსებში წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებს მიეთითოს ელექტრონული ბმულების მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება

ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ, სოციალურ, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მეცნიერებებში, ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში B/2 (წერითი) და სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის, ადმინისტრაციული რეგისტრაციის და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა და პროცედურები სამართლიანი, მათ შესახებ სრული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (www.ug.edu.ge).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამაზე სათანადო საბაზისო ცოდნისა და უნარების მქონე პირთა ჩარიცხვას. ასევე, შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით გეგმაზომიერად ხდება მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით განსაზღვრულია არა მხოლოდ ფილოლოგიური ან ზოგადად, ჰუმანიტარული დარგის ბაკალავრების მიღება, არამედ სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მეცნიერებების ბაკალავრისაც. პროგრამაში არ არის დაზუსტებული არაჰუმანიტარული დარგის ბაკალავრები როგორ შეძლებენ წინა საფეხურის ფილოლოგიური კომპეტენციების დაუფლებას. ინტერვიუს დროს აღნიშნულ საკითხზე გამახვილდა ყურადღება, თუმცა

დაწესებულებას არ გამოუთქვამს დამატებითი არგუმენტები. სასურველია, დაზუსტდეს ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობები დარგის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები;
- ინტერვიუს შედეგები..

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს პროგრამის წინაპირობები ქართული ფილოლოგიის დარგის შესაბამისად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტსა და სასწავლო ღონისძიებაში, მათ შორის, სტუდენტები ჩართულები არიან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, ქართველოლოგიური ცენტრის მუშაობაში და სხვ. ქართველოლოგიური ცენტრი საქართველოს უნივერსიტეტში ახლახან შეიქმნა. ცენტრი ორიენტირებულია ქართველოლოგიური მიმართულებით სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაზე, მათ შორის, ქართული ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურის დარგებში. უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სადაც სტუდენტებიც მონაწილეობენ. ქართველოლოგიის ცენტრი მიმდინარე წელს ამზადებს პირველ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, რომლის მუშაობაში, როგორც ორგანიზებაში, ასევე სამეცნიერო კუთხითაც, ჩართულები არიან უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პრორგამის სტუდენტები. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულო მოთხოვნაა სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც სტუდენტის კვლევით ნაშრომს წარმოადგენს.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას არ აქვს ცალკე გამოყოფილი პრაქტიკული კომპონენტი, თუმცა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, როგორიც არის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ვიზიტი, ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში სარედაქციო, ტექსტოლოგიური და სხვა ტიპის საქმიანობა და სხვ. აღნიშნული გარკვეულწილად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშვებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კონფერენციის პროგრამები;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები;

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოიგიის სამაგისტრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია, თუ რა მეთოდით ხდება სასწავლო კომპონენტის განხორციელება და ცოდნის გადაცემა. სწავლის შედეგების მისაღწევად ძირითადად გამოყენებულია წერითი, ახსნა-განმარტებითი, მონაცემთა ანალიზი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინტერაქტიული ლექციები, დისკუსია/დებატები,

წერითი რეფერატების მომზადება, დემონსტრირების მეთოდი და სხვ. ეს მეთოდები შესაბამისობაშია სწავლების სამაგისტრო საფეხურთან და უზრუნველყოფს როგორც სასწავლო კურსის, ისე მთლიანად პროგრამის მიზნების მიღწევადობას. სასწავლო საგნები ითვალისწინებს პრეზენტაციის კომპონენტსაც, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ შერჩეული საკითხის შესახებ მიღებული ცოდნა გადმოსცენ წერილობით და ვერბალურად.
საჭიროების შემთხვევაში, უსდ უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას პროგრამის სწავლის სფეროსათვის რელევანტური სწავლების მეთოდებით რომლებიც არ იწვევს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილებას.
ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, მის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- უსდ-ში არსებული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ელექტრონული რესურსები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სტუდენტთა შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებისა და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ.

სასწავლო კურსის შეფასება, მისი სპეციფიკიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს: ყოველკვირეულ შეფასებას (ქვიზი), შუალედურ შეფასებასა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას, რომელიც არის წერითი. სტუდენტის ცოდნა ფასდება ასქულიანი სისტემით; მინიმალურ დადებით შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შუალედური და დასკვნითი შეფასებები ხორციელდება რამდენიმე კომპონენტის მიხედვით (ღია და დახურული კითხვები, დეფინიციები, პრაქტიკული დავალებები, თემა და ა. შ.); რეფერატის მომზადება და პრეზენტაციაც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. სტუდენტთა შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

სილაბუსები ატვირთულია უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში და, შესაბამისად, ღია, გამჭვირვალე და წინასწარაა ხელმისაწვდომი და ცნობილი სტუდენტისთვის, რომელიც სარგებლობს აღნიშნული ბაზით.

შეფასების პროცედურის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის დაცვის მიზნით დასკვნითი გამოცდები მიმდინარეობს ერთიანად, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის ორგანიზებით, ხოლო საგამოცდო ნაშრომების გასწორება ხდება ანონიმურად.

შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია მათი გამოცხადებიდან (სტუდენტის პირად ვებგვერდზე განთავსებიდან) დადგენილ ვადებში და დადგენილი ფორმით, რომელიც ცნობილია სტუდენტისთვის.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ნაშრომის დაცვისა და შეფასების გამჭირვალე და სამართლიან პროცედურებს, რომელიც ეფუძნება კოლეგიალურ შეფასებას კომისიური წესით; სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება უსდ-ში არსებულ აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმები;

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ;

უსდ-ში ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- ნაშრომის აკადემიური სტილის დაცვით შესრულების წესი/მეთოდური სახელმძღვანელო;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტის შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას

აქვს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციის გაწევისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერისათვის აუცილებელი მექანიზმები. სტუდენტები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - „ჩემი UG“-საშუალებით იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობაზე. ამავე პლატფორმის გამოყენებით სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიების, საერთაშორისო შესაძლებლობების, კონფერენციებისა და უნივერსიტეტში განხორციელებული სხვა აქტივობების შესახებ, სტუდენტები იღებენ დროულ და ეფექტურ კონსულტაციას როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისაგან. სტუდენტებსა და პერსონალს შორის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით ფუნქციონირებს მართვის Online სისტემა „Online UG“, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევთ ონლაინ რეჟიმში ჰქონდეთ კომუნიკაცია ადმინისტრაციულ პერსონალთან და მიიღონ სწრაფი რეაგირება მათთვის საინტერესო საკითხებზე. სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად შეუთანხმდნენ პერსონალს საკონსულტაციო დროზე. აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციისათვის სტუდენტები ასევე იყენებენ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას, ელ-ფოსტასა და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებს. UG-ში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები, რომლებიც ორგანიზებას უწევენ კონფერენციებს, საჯარო ლექციებს, სხვადასხვა ღონისძიებებს. კლუბებს შესაძლებლობა აქვთ შექმნან პროექტები და შემდეგ მიმართონ ადმინისტრაციას დასაფინანსებლად. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ კლუბები სისტემატურად იღებენ სხვადასხვა პროექტებზე დაფინანსებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტურ საქმეთა დებულება
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „ჩემი UG“;
- ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	X	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშზე, თანდართულ დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაში ჩართულ პირებს აქვთ შესაბამისი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი“, რომლის თანახმადაც, ,,სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ან/და დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.“ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას ხელმძღვანელებისაგან მათთვის რელევანტურ ყველა საკითხზე. მაგისტრანტსა და ნაშრომის ხელმძღვანელს შორის

შეხვედრები ძირითადად ყოველკვირეულად იმართება, თუმცა, როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, საჭიროებისამებრ შეიძლება დაიგეგმოს დამატებითი კონსულტაციებიც. მაგისტრანტს შეუძლია აკადემიური რეგისტრაციის დროს სამაგისტრო ნაშრომის თემა აირჩიოს აკადემიური პერსონალის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან, ან დაარეგისტრიროს სხვა, მისთვის სასურველი თემა ხელმძღვანელთან შეთანხმებით. შეთანხმებული თემები ასევე მოწმდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. დაწესებულება იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას, რომლის დახმარებითაც სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტსა და აკადემიური გაფორმების სტილთან შესაბამისობაზე. ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესის“ მიხედვით, ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება წარმოადგენს ხელმძღვანელის ერთ-ერთ ვალდებულებას. ზემოხსენებული დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, თუ რომელი შემთხვევები მიიჩნევა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად და რა შედეგებს იწვევს ამგვარი ფაქტი.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო /სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**5**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**7**
თანაფარდობა	**7/5**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

  o თვითშეფასების დოკუმენტი;
  o ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი“;
  o სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულება;
  o სამაგისტრო ნაშრომები;
  o აკადემიური პერსონალის CV;
  o სტუდენტური სისტემა „ჩემი UG”
  o ვებგვერდი;
  o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და

გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისა და დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება იმ სასწავლო კურსების მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამაში.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე თითოეული პირის - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი - უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდელობითა და საქართველოს უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით (სამუშაოს აღწერილობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის პირადი საქმეები და ა. შ.).უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი, მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს. აღწერილია კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, განათლება და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია, პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, ასევე აკადემიური და პროფესიული გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება მასთან

ინტერვიუს შედეგად. იგი ჩართულია პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში.

მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით, რაც ასახულია მათ CV-ში. ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ პერსონალის უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებში პროგრამის განხორციელებაში ჩართული ზოგიერთი პერსონალის პირადი საქმე (CV) მოძველებულ ცნობებს ემყარება და განახლებას საჭიროებს.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური (აკადემიური პერსონალი) და მატერიალური რესურსი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და მისი წიგნადი ფონდი) შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია (1 აფილირებული პროფესორი, 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორი , 7 მოწვეული პროფესორი (ჩართულნი არიან როგორც სამეცნიერო კვლევებში, ისე სტუდენტთა პრაქტიკული უნარის განვითარებაში), სულ - 11 ადამიანი.

პროგრამის ამოქმედების დღიდან მის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მდგრადობის მაჩვენებელი არის სტაბილური და თითქმის არ შეცვლილა. მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი არ არის გაზრდილი და გავლენას არ ახდენს სწავლების პროცესზე, რადგან ხდება მათი კვალიფიციური კადრით ჩანაცვლება.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეულ პერსონალის რაოდენობა, მათი ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას.

უსდ-ს ჰყავს სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაციაც შეესაბამება მათ მიერ განხორციელებულ ფუნქციებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	4	4	4	
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	7	7	6	
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;

- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- განახლდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსი	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელისათვის. ის სრულ შესაბამისობაშია სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან და ეფუძნება პროგრამის სპეციფიკას.

თითოეული მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს აქვს კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ეს დასტურდება მათ მიერ დარგის კვლევაში შეტანილი წვლილით და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. ამ ნაშრომების შინაარსი შეესაბამება მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას.

დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა

აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი, თეზისის ჩამოყალიბება, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	5		5
- პროფესორი	1		1
- ასოცირებული პროფესორი	4		4
- ასისტენტ-პროფესორი	0		0
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედე·
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

- ჩატარებული კონფერენციების პროგრამები და კრებულები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	X	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს საქართველოს უნივერსიტეტი რეგულარულად ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს აფასებს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტი. ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლს შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების მიზნით და სემესტრის ბოლოს სტუდენტი ანონიმურად ავსებს კითხვარს, რომლის მონაცემების გაანალიზებას ახდენს პროგრამის/დეპარტამენტის ხელმძღვანელი სკოლის დირექტორთან ერთად.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას სკოლასთან ერთად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს და სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კოორდინაციას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და სასწავლო პროცესთან მის ინტეგრაციას; უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვას. დეპარტამენტი ყოველწლიურად აჯამებს პერსონალის მიერ სამეცნიერო პუბლიკაციების მაჩვენებელს და წარუდგენს ანგარიშს უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციას, რასაც ეფუძნება კონკრეტული წახალისების მექანიზმები.

აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისა და სამეცნიერო საქმიანობის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია სამეცნიერო აქტივობების (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაციების გამოქვეყნება რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში) დაფინანსების მექანიზმი. ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და იბეჭდება წაკითხულ მოხსენებათა კრებული, სკოლის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და აქვეყნებს პუბლიკაციებს საერთაშორისო ჟურნალებში; პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტარდება ტრენინგები და ვორქშოფები. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეყტი უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები;

- ჩატარებული კონფერენციების პროგრამები და კრებულები;

- სტუდენტთა მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების ანალიზი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უნივერსიტეტში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. რესურსების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია უნივერსიტეტის პორტალზე. საბიბლიოთეკო რესურსები მუდმივად განახლებადია საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებების გათვალისწინებით. უნივერისტეტის ბიბლიოთეკა ფლობს რამდენიმე სამეცნიერო ბაზასთან წვდომას (JSTOR, EBSCO, Cambridge Journals, და სხვ.) სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტებს და პერსონალს შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, თავისუფალი სივრცეები. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბლიოთეკო და უსდ მატერიალურ რესურსებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შენობის გეგმა;
- კომპიუტერული ლაბორატორიისა და ენების სასწავლო ცენტრის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებული და სხვა ხელშეკრულებები;
- შესაბამისი სამსახურების სამუშაოს აღწერილობები;
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4 მატერიალური რესურსი	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური გეგმა სამაგისტრო პროგრამის სრულ სასწავლო ციკლზეა გათვლილი. პროგრამის შემოსავლიდან 80% ხმარდება უშუალოდ პროგრამულ უზრუნველყოფას (აკადემიური პერსონალის ანაზღაურება და სხვა) ხოლო შემოსავლების 20% გადასახადების, სამეურნეო და საოფისე ხარჯების დაფარვას. პროგრამის აკრედიტაციისთვის გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში ხელმისაწვდომია ინფორმაცია პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს ჯამურ ინფორმაციას ყველა გათვალისწინებული ხარჯების და შემოსავლების შესახებ. რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები მეტად

დეტალურად გაწერილი იქნას, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მატერიალურტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის დამატებითი ფინანსური საჭიროებები შეძილება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
    - პროგრამის ბიუჯეტი
    - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
    - ჩატარებული ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები მეტად დეტალურად გაწერილი იქნას, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მატერიალურტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ჩართულია და კოორდინირებას უწევს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების ან/და განვითარებისა და მოდიფიცირების პროცესებს.

საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მართვის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისია და განყოფილებების ფუნქცია-მოვალეობები.

მართვის დებულებაში მითითებულია რომ, სუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიას წარმოადგენს *„უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა - აკადემიური საქმიანობის სტანდარტების დადგენა, შესრულების ხარისხის გაზომვა და მონიტორინგი“.*

უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ აღნიშნული მისიის შესრულება ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურის მიერ არ არის სრულად დაკმაყოფილებული. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ ახორციელებს პროგრამების ხარისხის გაზომვას და მონიტორინგს. ინტერვიუზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ განიმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი არის ე.წ „პროგრამის განვითარების საბჭოს“ წევრი და მხოლოდ ამ საბჭოს მიერ ხორციელდება პროგრამების განვითარება და მონიტორინგი. თუმცაღა, ინტერვიუს შემდგომ და შესაწავლილ დოკუმენტებში ბუნდოვანი დარჩა პროგრამის განვითარების საბჭოს ფუქნციონირების შედეგები და ზოგადად ხარისხის სამსახურის როლი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოდგენილოა შემდეგი განყოფილებებისგან:

- ავტორიზაციის განყოფილება
- აკრედიტაციის განყოფილება
- საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილება
- ანალიტიკის და მონიტორინგის განყოფილება

საყურადღებოა ფაქტი, რომ ინტერვიუზე წარმოდგენილი ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების წარმოგადგენელმა განმარტა, რომ მხოლოდ იგი ადმინისტრირებას უწევს გარკვეულ პროცესებს, რაც ბუნდოვანს ტოვებს აღნიშნული სამსახურის სახელს და მართვის დებულებაში არსებულ, მისი წარმომადგენელის ფუნქციებს. ამასთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე ანგარიში ან დამუშავებული მონაცემები, რომელიც დაადასტურებს მისი საქმიანობის სისრულეს და ცხადყოფს, რომ იგი იყენებს საჭირო ინსტრუმენტებს და ახორციელებს პროგრამების

შეფასებას მათ გასაუმჯობესებლად. ხარირსხის უზრუნვეყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ კითხვარები და მათი ფორმები. აქედან გამომდინარე, ვერ განხორციელდა შეფასების შედეგების ნახვა და შემოწმება, რამდენად იყენებს მათ ინსტიტუცია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალი ნაწილობრივ არის ინფორმირებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუქნციების და მისი ინსტრუმენტების შესახებ. ინტერვიუზე მოწვეულმა ლექტორებმა ისაუბრეს, რომ მათ მუშაობის პროცესში არასდროს მიუღიათ თავიანთი შეფასებები. კერძოდ, არ იყვნენ საქმის კურსში, რომ ხორციელდება სტუდენტების მიერ მათი შეფასება და ანალიზი. აღნიშნული ფაქტი ეჭქვეშ აყენებს მოცემულობას, რომ მოწვეულ ლექტორებს შეუძლიათ დადებითი გავლენა მოახდნონ პროგრამის საბოლოო განხორციელებაზე ინდივიდუალური სასწავლო კურსების გაუმჯობესების ჭრილში. თანამშრომლობის ნაწილში აღსანიშნავია ფაქტი, რომ აკადმეიური პერსონალის ნაწილი არ იყო ინფორმირებული მათი სასწავლო კურსის სტატუსისა და ზოგადად, ქართული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი და მნიშვნელოვნება პროგრამების განვითარების ნაწილში. აუცილებელია, აღნიშნული სამსახური სისტემატურად ახორციელებდეს მონიტორინგს და ამზდებდეს ერთიან ანგარიშს შეფასების პროცესებში არსებული ძირითადი მიგნებების შესახებ. ასევე, მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის სახელმძღვანელოს მომზადება, რათა პერსონალმა გააცნობიეროს ხარისხის სამსახურთან თანამშრომლობის პრინციპები და შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მართვის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის გაძლიერება და მისი მეტი ჩართულობა პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

- რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამების განვითარების პროცესში.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად გაზომოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და შეაფასოს ისინი, რათა განხორციელდეს ანალიზის შემდგომის შედეგების გამოყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება, რათა პერსონალი საქმის კურსში იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შესახებ. ასევე, აცნობიერებდეს თანამშრომლობის შედეგების გავლენას პროგრამების განვითარების ნაწილში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☐	X	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2017 წლის აგვისტოში. უსდ-მ ექსპერტთა რეკომენდაციით, პროგრამაში შეიტანა რამდენიმე შესწორება, რაც ასევე თვითშეფასების ანგარიშში არის მითითებული. 2019 წელს პროგრამამ გაიარა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, სადაც ასევე გამოითქვა რეკომენდაციები, რომელიც უნდა გათვალისწინებულიყო, თუმცა უნივერსიტეტმა

რეკომენდაციების ნაწილი კვლავ არ გაითვალისწინა. აღნიშნული საკითხი აქტიურად განიხილებოდა თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში. თვითშეფასების ჯგუფმა განმარტა, რომ თვითშეფასებაზე მუშაობა მიმდინარეობდა სხვადასხვა ინტენსივობით, არ იყო ზუსტად განსაზღვრული როლები და სხვ.

საქართველოს უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება პოტენციური დამსაქმებლის მიერ. გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა 15-მდე დამსაქმებელმა და წარმოადგინა დასკვნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულებს უყალიბებს იმ პროფესიულ კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც დღეისთვის მოთხოვნადია ბაზარზე და, შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებას. როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნული კვლევა მოძველებულ მონაცემებს შეიცავს, დამსაქმებლების ნაწილი აღარ არის ცოცხალი, ან აღარ მუშაობს მითითებულ თანამდებობაზე 2019 წლიდან (იხ. 1. 2). ასევე, ხაზგასასმელია, რომ უსდ-ს არ გააჩნია კონკრეტული ექსპერტის, ან დარგის სპეციალისტის გარე შეფასება და გარე შეფასებაში მხოლოდ ზემოთაღნიშნულ განზოგადებულ დოკუმენტს აღიარებს, რომელიც არ ასახავს პროგრამის თანამედროვე შინაარსს, მიზნების, სწავლის შედეგების, სტრუქტურისა და სხვა პროგრამისთვის სპეციფიკური პუნქტების შეფასებას პოტენციურ დამსაქმებელთა მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება პოტენციური დამსაქმებლის მიერ.
- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საჭიროებისამებრ და პერიოდულად გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმები.

- რეკომენდებულია უსდ-მ გაითვალისწინოს აკრედიტაციის პროცესში მიღებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ან წარმოადგინოს ხედვა მათი თუ რატომ არ გაითვალისწინა ისინი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია უსდ-მ პერიოდულად გაანახლოს პოტენციური დამსაქმებლების მიერ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების კვლევა, რათა მასში აღარ იყოს გათვალისწინებული მოძველებული მონაცემები.
- გარე შეფასების განხორციელებისას, სასურველია ინსტიტუციამ გაითვალისწინოს პროგრამის სპეციფიკურობა და გარე შეფასების ანალიზიც დაფუძნებული იყოს კონკრეტულ შედეგებსა თუ პროგრამის გასაუმჯობესებელ რეკომენდაციებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	X	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პერიოდულად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი; სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა. მონიტორინგი გულისხმობს გარე და შიდა შეფასებებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებას, ანალიზსა და ამ შედეგების გამოყენებას პროგრამის სრულყოფისათვის. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუების პროცესებში დადასტურდა რომ, ისინი პერიოდულად იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში მათი შიდა ელექტრონული სისტემისა და ელ.ფოსტაზე მიღებული კითხვარების მეშვეობით მეშვეობით.

თუმცაღა საყურადღებოა ფაქტი, უსდ-მ ვერც ჯვარედინი ინტრევიუებით და ვერც მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა, რომ ახორციელებს მონაცემების სისტემატურ შეგროვებას, ანალიზს და შედეგების გამოყენებას პროგრამის სრულყოფისათვის.

შესწავლილი დოკუმენტების და ინტერვიუების შედეგად ბუნდოვანი დარჩა, ვინ არის საბოლოოდ პასუხისმგებელი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოამდგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამის განვითარების საბჭო ასრულებს აღნიშნულ ფუქციას, რომლის წევრიც არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. თუმცაღა, ინტრევიუს პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულნი შეფასებების პერიოდულობასა და შედეგების გამოყენების შესახებ პროგრამების სრულყოფისათვის.

ასევე, უსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტში იკითხება რომ, “მონიტორინგი გულისხმობს, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული სწავლების პროცესის ხარისხის შეფასებას. ამ მიზნით, პერიოდულად ხდება ლექციებზე ლექტორთა ურთიერთდასწრება (ეს განსაკუთრებით ეხება ახალ თანამშრომლებს) და რეკომენდაციების გაცემა” (თვითშეფასების დოკუმენტი, 5. 3.). ინტერვიუს პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განმარტა, რომ დასწრება არღვევს ადამიანთა უფლებებს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია შესაძლებელი ახალ პერსონალთან

მიმართებით. რაც თავისთავად ეწინააღმდეგება თვითშეფასებაში მოცემულ ინფორმაციას. აქაც უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ მოწვეული პერსონალის ნაწილი არ იყო საქმის კურსში და არ მიუწვდება ხელი თავიანთ შეფასებებზე. კერძოდ, საუბარია სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასებაზე.

თვითშეფასების ანგარიშში ასევე გვხვდება ინფორმაცია, რომ უსდ-ს მიერ პერიოდულად ხდება ქართული ფილოლოგიის პროგრამის დადარება სხვა უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მაგალითად: სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ სოხუმის სხელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. თუმცაღა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ვერ განმარტეს აღნიშნული ანალიზის შედეგები და არ დაადასტურეს ანალიზის მომზადებისას მათი პროცესში ჩართულობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად უნდა მოამზადოს ანგარიში განხორციელებული შეფასებების ანალიზის შესახებ. პირველ რიგში კი, პასუხისმგებელმა პირებმა უნდა განახორციელონ რელევანტური მონაცემების ანალიზი. აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდეს და ფლობდეს ინფორმაციას, თუ როგორ განხორციელდა დაინტერესებული მხარეების მიერ ანალიზის შედეგების გამოყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად და ხარვეზების შემთხვევაში გასცემდეს კომპეტენტურ რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ანალოგიური პროგრამების ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამა
- მართვის დებულება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სისტემატურად განხორციელდეს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და მათი გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- რეკომენდებულია გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის დონე პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიტანოს საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული წვლილი პროგრამების შედეგების კვლევასა და ანალიზში შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაანალიზოს ანალოგი პროგრამების შედარების შედეგები და აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენოს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად მოამზადოს ერთიანი ანგარიში პროგრამის შეფასების შედეგების შესახებ, რომელიც ასახავს როგორც შეფასებების შეჯამებას, ასევე დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასების შედეგებზე რეაგირებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☐

განვითარების შესაძლებლობები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	X	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ხვთისო მამისიმედიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

სოფიო ბაზაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანი ქვათაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

შალვა მესხი